საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სალომე გველესიანის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	20	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	86	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი : 29.05.21

სალომე გველესიანი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - სალომე გველესიანის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას ისეთი მახასიათებლების გათვალისწინებით, როგორიცაა პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია უნდა იქნეს გათვალისწინებული კანდიდატის შესახებ შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაცია რომლის მიხედვით, **პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის კუთხით,** კანდიდატის შეფასებისას აღსანიშნავია მის შესახებ რეკომენდატორებისა და რესპოდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია რომლებიც გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ და გამოყოფენ მის ისეთ თვისებებს როგორიცაა მიუკერძოებლობა,
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		კეთილსინდისიერება, პრინციპულობა, გუნდურობა, კორექტულობა, გაწონასწორებულობა და კომუნიკაბელურობა. ფინანსური ვალდებულების შესრულების კუთხით შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ სალომე გველესიანს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორიით. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. **დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის კუთხით** შეფასებისას, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისათვის საჭირო პიროვნული და პროფესიული უნარები. რაც შეეხება პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობას, კანდიდატის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის სალომე გველესიანი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. **პიროვნული და პროფესიული ქცევის კუთხით** შეფასებისას, უნდა აღინიშნოს რომ კანდიდატი თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნებაა. სალომე გველესიანის მიმართ დისციპლინური დევნა/ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა. რაც შეეხება მხარედ მის მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტიდან, ასევე საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი

			მხარედ წარმოდგენილი და დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის კუთხით** შეფასებისას გაითვალისწინება კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი. ამ და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, მიმაჩნია რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - სალომე გველესიანი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	20	25	**სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს მის მიერ მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების, ასევე ადამიანის უფლებათა სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის მაღალი დონე, ასევე ამ გარემოების უკეთ შეფასების მიზნით კანდიდატის შესახებ შემაჯამებელ ინფორმაციაში კანდიდატის მიერ წარმოდგენილი იქნა მისი სამაგისტრო ნაშრომი „სასამართლო გადაწყვეტილებების

			კლასიფიკაცია და მათი მიღების წანამძღვრების ურთიერთმიმართება". სალომე გველესიანს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სპეციალიზაციით, იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის XIV ჯგუფის მსმენელი (2019წ). იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში მინიჭებული აქვს მე-6 ადგილი. გასაუბრებისას მისი პასუხები, ძირითადად სწორ სამართლებრივ შეფასებას ეყრდნობოდა თუმცა იყო ხარვეზებიც, კერძოდ საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25	**სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით** კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებული იქნა მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება უნდა ითქვას, რომ კანდიდატი საკუთარ პოზიციას ასაბუთებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით ძირითადად გამართულად, გასაუბრებიდან გამომდინარე ახორციელებს სამართლებრივ ნორმათა სწორ განმარტებას.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	20	**წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კუთხით** შეფასებისას გათვალისწინებული იქნა ის გარემოება კანდიდატის მიერ წერილობით ნააზრევი რამდენად ნათლად და სწორადაა გადმოცემული, რამდენად თანმიმდევრული და ლოგიკურია მის მიერ

			განვითარებული მსჯელობა, რამდენად გამართულია მისი მეტყველება და უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად, აქვს სხვისი აზრის მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, არის ღია სიახლეებისა და განსხვავებული არის მოსასმენად და მის მიერ გამოთქმული ზეპირი მოსაზრებები ძირითადად არის ადვილად აღსაქმელი. თუმცა, როგორც წერის, ასევე ზეპირი კომუნიკაციის დროს გამოიკვეთა ხარვეზი წინადადებათა რთული წყობის კუთხით, რაც ართულებს ნააზრევის აღქმის შესაძლებლობას.
პროფესიული თვისებები	14	15	**პროფესიული თვისებების კუთხით** კანდიდატის - სალომე გველესიანის შეფასებისას გასაუბრებიდან და მის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის გათვალისწინებით ყურადღება იქნა გამახვილებული მის ისეთ თვისებებზე როგორიცაა - შრომისმოყვარეობა და პუნქტუალობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, კოლეგებისადმი მისი კორექტული დამოკიდებულება და მიზანდასახულობა. სალომე გველესიანს არ გააჩნია სამოსამართლო გამოცდილება.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით** კანდიდატის - სალომე გველესიანის შეფასებისას უნდა აღნიშნოს, რომ იგი არის შრომისმოყვარე და ღია სიახლეების მიმართ. აღსანიშნავის მისი ისეთი თვისება როგორიცაა ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის მიმართ ღიაობა, საკუთარ თავზე მუშაობისა და თვითგანვითარების უნარი.
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**	**პროფესიული აქტივობის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს აქტიური მონაწილეობა მიღებული, მათ შორის მართლმსაჯულების განვითარებით კუთხით, არაერთ ღონისძიებასა და სემინარში. (ჩამონათვალი იხილეთ კანდიდატის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში) არის სამართლის მაგისტრი, აქვს წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი - „სასამართლო გადაწყვეტილებების კლასიფიკაცია და მათი მიღების წანამძღვრების ურთიერთმიმართება". პროფესიული აქტივობის კანდიდატის სათანადოდ არ აქტიურობს პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებით.
ქულათა ჯამი	**86**	**100**	

სახელი გვარი: ირაკლი ზონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი : 29.05.21